2015-12-07 ბრძანება №:218/01-01

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2013 წლის 25 ნოემბრის №150/01-01 ბრძანებით დამტკიცებული ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ყოველწლიურ სამეცნიერო ფორუმში მონაწილეთა განსაზღვრის წესის 2015 წლისთვის შესრულების უზრუნველსაყოფად ვადების დადგენის თაობაზე

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2013 წლის 25 ნოემბრის №150/01-01 ბრძანებით დამტკიცებული ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ყოველწლიურ სამეცნიერო ფორუმში მონაწილეთა განსაზღვრის წესის 2015 წლისთვის შესრულების უზრუნველსაყოფად ვადების დადგენის თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-8 პუნქტის ,,ა" და ,,პ" ქვეპუნქტების, მე-9 და მე-11 პუნქტების და „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო რექტორის მოადგილის მერაბ ელიაშვილისათვის დროებით რექტორის მოვალეობის შესრულების უფლებამოსილების დაკისრების შესახებ" რექტორის 2015 წლის 03 დეკემბრის N217/01-01 საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ფორუმი ჩატარდეს 2016 წლის 23 აპრილს.

2. უნივერსიტეტების ფაკულტეტებსა და შესაბამის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს დაევალოთ საკონკურსო კომისიების წევრების კანდიდატურების უნივერსიტეტის რექტორისათვის წარდგენა არაუგვიანეს 2016 წლის 16 იანვრისა, რექტორის ბრძანებით დამტკიცების მიზნით.

3. საკონკურსო კომისიებს დაევალოს ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ ფორუმში მონაწილეობაზე კონკურსი გამოაცხადოს არაუგვიანეს 2016 წლის 30 იანვრისა.

4. უნივერსიტეტის ფაკულტეტებს დაევალოთ ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ ფორუმში მონაწილეობისათვის უფლებამოსილ პირთა მოხსენებების დადგენილი წესით მიღება 2016 წლის 29 თებერვლის ჩათვლით.

5. საკონკურსო კომისიებს დაევალოს ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ ფორუმზე წარსადგენი მოხსენებები შეარჩიოს არაუგვიანეს 2016 წლის 1 აპრილისა.

6. ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გადაცემა დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.

7. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება.

8. ბრძანება ძალაში შედის გამოცემისთანავე.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,

რექტორის მოადგილე, პროფესორი მერაბ ელიაშვილი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორის 2013 წლის ,, 25.11 „
N #150/01-01 ბრძანების დანართი N1

ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ ყოველწლიურ სამეცნიერო ფორუმში მონაწილეთა განსაზღვრის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ყოველწლიური სამეცნიერო ფორუმი (შემდგომში - ,,ფორუმი”) იმართება მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულების სამეცნიერო თანამდებობის პირების და უნივერსიტეტში დასაქმებული დოქტორის აკადემიური ხარისხის (ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის) მფლობელი პირებისა და უნივერსიტეტის ემერიტუსების (შემდგომში - ,,ინდივიდუალური მონაწილეები“) მონაწილეობით.

2. ფორუმზე წარდგება უნივერსიტეტის თითოეული ფაკულტეტის სამეცნიერო პროფილის შესაბამისი თითო ნაშრომი.

3. ნაშრომები ფასდება უფლებამოსილი საკონკურსო კომისიის მიერ (შემდგომში - ,,კომისია“). კომისია იქმნება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით ფაკულტეტების დეკანებისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების ხელმძღვანელების რეკომენდაციით, უნივერსიტეტის თითოეულ ფაკულტეტზე. კომისია შედგება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს აკადემიური თანამდებობის მქონე 8 წევრისგან და ფაკულტეტის სამეცნიერო პროფილის მქონე დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ყოველი სტრუქტურული ერთეულის თითო სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირისგან.

4. ფორუმზე წარსადგენად შესაბამისი პროფილის სამეცნიერო ნაშრომს უფლებამოსილი პირი წარადგენს ფაკულტეტზე. ფაკულტეტზე წარდგენილი შესაბამისი სამეცნიერო პროფილის ნაშრომებიდან კომისია შეარჩევს მხოლოდ ერთ, წინა სამი წლის განმავლობაში გამოქვეყნებულ საუკეთესო სამეცნიერო შედეგების ამსახველ მოხსენებას. შესაბამის ფაკულტეტზე მოხსენების წარდგენის ბოლო ვადაა ყოველი წლის 28 თებერვალი.

5. მოხსენების ავტორი (ავტორთა ჯგუფი) უნდა წარმოადგენდეს შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს, ან ამ ფაკულტეტის სამეცნიერო პროფილის შესაბამის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულების სამეცნიერო თანამდებობის პირს (გარდა ინდივიდუალური მონაწილისა).

6. ფორუმი ტარდება ყოველწლიურად, აპრილის თვეში, ზუსტი თარიღი დგინდება რექტორის ბრძანებით.

მუხლი 2. კომისიის მუშაობის წესი

1. ფორუმზე წარსადგენი მოხსენების შერჩევას კომისია ახდენს ღია კენჭისყრის გზით, დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით.

2. კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს თავისი შემადგენლობიდან პირველ სხდომაზე ირჩევს კომისია ღია კენჭისყრით.

3. კომისიის მიერ ფორუმზე წარსადგენი მოხსენება უნდა შეირჩეს ყოველი წლის არაუგვიანეს 1 აპრილისა.

4. კომისიის საქმიანობას ორგანიზაციულ-ტექნიკურად უზრუნველყოფს ფაკულტეტის ადმინისტრაცია.

5. კომისიის მუშაობაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ კომისიის ის წევრები, რომელთა მოხსენებები განიხილება ფორუმზე წარსადგენად.

მუხლი 3. ფორუმში მონაწილეობაზე კონკურსის გამოცხადების წესი

1. ფორუმში მონაწილეობაზე კონკურსი კომისიის მიერ ცხადდება ყოველწლიურად, არაუგვიანეს 31 იანვრისა.

2. განცხადება კონკურსის გამოცხადების თაობაზე ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და გაზეთში ,,თბილისის უნივერსიტეტი”.

მუხლი 4. ფორუმში მონაწილეთა დაჯილდოება

1. ფორუმში მონაწილე მოხსენების ავტორ(ებ)ს გადაეცემა(თ) ფორუმში მონაწილის სერტიფიკატი.

2. წამახალისებელი თანხა თითოეული მოხსენებისათვის წარმოადგენს 5 000 ლარს, რომელიც გადაეცემა მოხსენების ავტორს, ან ავტორთა ჯგუფს.